

კრეატიულობისა და ლოკუს კონტროლის კვლევა თბილისის ,
ქუთაისის და თელავის სკოლების , საშუალო
სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან

მარი ბარბაქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ,
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიეროხელმძღვანელი: **რუსუდან მირცხულავა**, ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

კრეატიულობისა და ლოკუს კონტროლის კვლევა თბილისის , ქუთაისის და თელავის სკოლების ,საშუალო

სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კრეატიულობის და ლოკუს კონტროლის კორელაციის შესწავლა თბილისის , ქუთაისის და თელავის სკოლების მოსწავლეებში. კვლევა ჩავატარეთ თბილისის , ქუთაისისა და თელავის სკოლების, საშუალო სასკოლო ასაკის VII- VIII კლასის მოსწავლეებში , რომელთა ასაკია 14–15 წელი. ამოცანას წარმოადგენდა კრეატიულობის და ლოკუს კონტროლის , როგორც პიროვნული მახვენებლებისა და მათ შორის კორელაციის გაზომვა. კრეატიულობა ვიკვლიეთ ე.პ.თორენსის კრეატიულობის ვერბალური და არავერბალური ტესტით , ხოლო ლოკუს კონტროლი - ჯ.როტერის კონტროლის ლოკუსის სკალით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას , რომ თბილისის მოსწავლეების კრეატიულობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ქუთაისის და თელავის მოსწავლეებთან შედარებით.გამოვლინდა გენდერული სხვაობა, ვაჟები უფრო მაღალ კრეატიულობას ავლენენ , ვიდრე გოგონები.

ლოკუს კონტროლის კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ლოკუს კონტროლის ნეიტრალურ ჯგუფში ერთიანდება , შემდეგ მოდიან ინტერნალები , ხოლო ცდისპირების ყველაზე მცირე რაოდენობა ექსტერნალური ლოკუს კონტროლის ჯგუფშია წარმოდგენილი. თბილისის მოსწავლეები არიან მეტად ინტერნალურები, ვიდრე თელავის და ქუთაისის მოსწავლეები.თელავის მოსწავლეებს კი, თბილისის და ქუთაისის მოსწავლეებთან შედარებით, მეტად ახასიათებთ ექსტერნალობა.ორივე სქესის ცდისპირებში ექსტერნალთა რაოდენობა თითქმის თანაბარია. ინტერნალები კი უფრო ხშირად ვაჟებში გვხვდებიან.

კრეატიულობასა და ლოკუს კონტროლს შორის გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ კრეატიულობის როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ქვეტესტის შედეგის ზრდასთან ერთად ექსტერნალობა მცირდება და ინტერნალობა მატულობს. დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც , ინტერნალური ლოკუს კონტროლის მქონე მოსწავლეები უფრო კრეატიულები არიან.

ძირითადი საძიებო სიტყვები : კრეატიულობა , ლოკუს კონტროლი, ინტერნალი, ექსტერნალი.

Abstract

The purpose of our research was to study correlation between creativity and locus control, for Tbilisi, Kutaisi and Telavi school students. Our research was conducted at secondary schools of Tbilisi , Kutaisi and Telavi with VII-VIII grade students, 13-14 years old . Our mission was to measure Creativity and Locus control, as personal indicator and correlation between them. Creativity was measured with E.P. Torrence Test of Creative Thinking and locus control with J. Rotter's Locus of Control Scale.

Based on the data obtained we can say , that the creativity of students in Tbilisi is higher, compared with student in Kutaisi and Telavi. The difference between gender revealed, that boys are more creative, than girls.

The research locus of control revealed, that most of students are gathered in locus of control neutral group, then come internals , the smallest number of derived are in group external locus of control. Students of Tbilisi are more internal, than students in Telavi and Kutaisi. Students of Telavi, compared with students in Tbilisi and Kutaisi are more external. In both sex derived external's number are totally equal. The more internal are found into the men.

Between creativity and locus of control has revealed negative correlation, which means that, increase of creativity test result, as verbal , as non-verbal, decreases externality and increases internality. So our hypothesis are confirmed, according to the , students with internal locus of control, are more creative.

Key Words : Creativity, Locus control, Internal, External .